პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო ატესტატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
• საქართველოს მოქალაქეები ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
• საერთაშორისო აბიტურიენტები ჩაირიცხებიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/ნ ბრძანების შესაბამისად.
სავალდებულოა რუსული ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დოკუმენტის არსებობა. რუსული ენის ცოდნის დასადასტურებლად აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს

შემდეგი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი:
ა) TOEFL The (Test of Russian as a Foreign Language II დონის სერტიფიკაცია (შეესაბამება ევროპული ტესტირების სისტემის ALTE B1 დონეს).
ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, კოლეჯში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აბიტურიენტი სწავლობდა რუსულ ენაზე;
გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო ენობრივი მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებელმა შესაბამის კურსზე რუსულ ენაში მიაღწია არანაკლებ B1 დონეს.
დ) აბიტურიენტი, რომელსაც ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა არ შეუძლია, ვალდებულია სტუ-ის ტესტირების ცენტრში ჩააბაროს ტესტი, რომელიც ადასტურებს რუსული ენის B1 დონეზე ფლობას.
შენიშვნა. დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნა შეიძლება არ გავრცელდეს იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მშობლიური ენა რუსულია ან თუ მან დაამთავრა საშუალო სკოლა/უნივერსიტეტი იმ ქვეყნებში, სადაც რუსული ენა ოფიციალური ენაა და, შესაბამისად, სწავლობდა რუსულ ენაზე.

პროგრამის მიზანი

მიზანი 1.
კურსდამთავრებულებს გააცნოს საზოგადოებრივი, კომერციული, საწარმოო და საცხოვრებელი ნაგებობების აგების, მონტაჟისა და აღჭურვის ძირითადი სამშენებლო ტექნოლოგიების შესრულების ხერხები და მეთოდები, სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებისთვის საჭირო სამშენებლო მანქანების შერჩევის წესები, შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი, სამშენებლო კონსტრუქციების მოვლის ტექნოლოგიები, მშენებლობის ორგანიზაცია და მართვის ძირითადი საკითხები.
მიზანი 2.
სამშენებლო ინჟინერიის სფეროში ფართო ცოდნის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, კურსდამთავრებულებს მისცეს პრაქტიკული ხასიათის სამშენებლო პროექტების განხორციელების შესაძლებლობა გარემოს დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მოთხოვნების, ასევე გლობალური, კულტურული, სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.
მიზანი 3.
შექმნას მყარი საფუძველი კურსდამთავრებულთა სწავლის შემდეგ საფეხურზე გასაგრძელებლად და მუდმივი პროფესიული განვითარებისათვის, რათა მიღებული

განათლებით მათ წვლილი შეიტანონ სამშენებლო კომპლექსის შეუფერხებელ ფუნქციონირებაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენცია (ზოგადი და პროფესიული)

1. სამშენებლო სფეროში ფართო ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად განიხილავს ამ სფეროს თეორიებსა და პრინციპებს.
2. განმარტავს სამშენებლო ტექნიკის ზოგიერთ უახლეს ასპექტს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი, კომერციული, სამრეწველო და საცხოვრებელი ნაგებობების (აგრეთვე მათი აღჭურვილობის) მონტაჟის, აგებისა და მომსახურების ტექნოლოგიებსა და ხერხებს, აგრეთვე მათი მონტაჟის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ტექნოლოგიასა და მეთოდებს;
3. სამშენებლო ინჟინერიის სფეროში რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად იყენებს კოგნიტური და პრაქტიკული უნარების სტანდარტულ და ზოგიერთ უახლეს მეთოდს, რომლებიც აკმაყოფილებს გარემოს დაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მოთხოვნებს, გლობალური, კულტურული, სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.
4. წინასწარ განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს, პროფესიული განსჯით ახდენს მიღებული მონაცემების ანალიზის ინტერპრეტაციას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.
5. ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით ახორციელებს სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და სამშენებლო ხერხების შერჩევას, მონაწილეობს სამშენებლო პროცესების განხორციელებაში, კონსტრუქციული ელემენტების მონტაჟში, შენობების აგებასა და აღჭურვაში, მშენებლობის ხარისხის კონტროლში, შეფასებასა და ტექნიკურ ექსპერტიზაში.
6. სფეროსთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, შესაბამის კონტექსტში და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მკაფიო და გასაგებ კომუნიკაციას ახორციელებს სპეციალისტებისა და არასპეციალისტების აუდიტორიასთან.
7. საკუთარი პასუხისმგებლობითა და შრომითი ეთიკის პრინციპების დაცვით მონაწილეობს განვითარებაზე ორიენტირებულ გუნდურ საქმიანობაში, გუნდის წევრებთან ერთად ქმნის თანამშრომლობით გარემოს და ასრულებს დასახულ ამოცანას.

8. გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს და მათ დამოუკიდებლად ახორციელებს მაღალ დონეზე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

ფასდება 100-ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასება:

- **(A)** – ფრიადი – ფასდება 91-100 ქულით;
- **(B)** – ძალიან კარგი – ფასდება 81-90 ქულით;
- **(C)** – კარგი – ფასდება 71-80 ქულით;
- **(D)** – დამაკმაყოფილებელი – ფასდება 61-70 ქულით;
- **(E)** – საკმარისი – ფასდება 51-60 ქულით.

უარყოფითი შეფასება:

- **(FX)** – ვერ ჩააბარა – შეფასება 41-50 ქულაა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს საგნის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა შესაძლებლობა, დამოუკიდებელი

მუშაობის საფუძველზე კიდევ ერთხელ ჩააბაროს გამოცდა;

- **(F)** – ჩაიჭრა – შეფასება 40 ქულა და ნაკლებია, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არასაკმარისია და მან საგანი თავიდან უნდა შეისწავლოს.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX შეფასების მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

საბოლოო შეფასებისას მიღებული ქულების რაოდენობა არ ემატება სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის საბოლოო შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებით 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე, სტუდენტს ენიჭება შეფასება F-0.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება, თავის მხრივ, მოიცავს მიმდინარე აქტივობასა და შუასემესტრულ გამოცდას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს საერთო შეფასებაში (100 ქულა) აქვს განსაზღვრული წილი. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა არ აღემატება 60-ს, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა არ არის 40-ზე ნაკლები.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების კომპონენტ(ებ)ში სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული მინიმალური დადებითი შეფასება დააგროვა (ჯამში არანაკლებ 30 ქულა) და ამასთან, პროგრამით დოკუმენტური მასალის სახით განსაზღვრული სამუშაოს მინიმალური მოცულობა შეასრულა და დადგენილ ვადაში ჩააბარა.

დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.

https://www.gtu.edu.ge/uploads/2026/03/educational-process2-1.pdf

საგანი	**კრედიტი**
[უცხო ენა (ინგლისური) - A1.1]	[5]
[უცხო ენა (გერმანული) - A1.1]	
[1უცხო ენა (ფრანგული) - A1.1]	
[უცხო ენა (ინგლისური) - A1.1]	
[საინჟინრო მათემატიკა 1]	[5]
[ფიზიკა 1]	[4]
[ზოგადი ქიმია]	**[4]**
[პროგრამირების საფუძვლები მშენებლობაში]	[4]

[გეოდეზია -1]	**[3]**
[საქართველოს ისტორია]	3
[ფილოსოფიის საფუძვლები]	
[ენობრივი კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები]	
[აკადემიური წერის ელემენტები]	
[სოციოლოგიის შესავალი]	
[ფსიქოლოგიის შესავალი]	
[ტექნიკური დიზაინის ისტორია]	
[მხაზველობითი გეომეტრია]	[3]
[სამშენებლო ხაზვა]	[3]
[უცხო ენა (ინგლისური) - A1.2]	[5]
[უცხო ენა (გერმანული) - A1.2]	
[უცხო ენა (ფრანგული) - A1.2]	
[გეოდეზია 2]	[3]
[საინჟინრო მათემატიკა 2]	[5]
[ფიზიკა 2]	[4]
[თეორიული მექანიკა – სტატიკა]	**[5]**
[საინჟინრო გეოლოგია და გრუნტების მექანიკა]	**[4]**
[გარემოს დაცვა და ეკოლოგია]	[3]
[ფუძეები და საძირკვლები]	[3]
[კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა]	[3]
[თეორიული მექანიკა –დინამიკა]	[5]
[მასალათა გამძლეობა -1]	[4]
[საინჟინრო მათემატიკა 3]	[5]
[სამშენებლო მასალები-1]	[3]
[შესავალი სამშენებლო საქმეში]	[3]

[მასალათა გამძლეობა-2]	[4]
[ჰიდრავლიკა]	[5]
[სამშენებლო მასალები-2]	[3]
[თბო-გაზმომარაგება და ვენტილაცია]	[5]
[სამშენებლო მექანიკა]	[5]
[სტატისტიკური მეთოდები მშენებლობაში]	[4]
[სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები]	[5]
[წყალმომარაგება და წყალარინება]	[5
[სამშენებლო წარმოების საფუძვლები]	[5]
[წყალმიმღები ნაგებობები]	[5]
[სამშენებლო კონსტრუქციები]	[5]
[შრომის უსაფრთხოების საფუძვლები მშენებლობაში]	[4]
[ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები]	[5]
[შენობა-ნაგებობების არქიტექტურა]	[3]
[მშენებლობის მართვის საფუძვლები]	[5]
[ნაგებობების სეისმომედეგობა]	[5]
[შენობების სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობები]	[5]
[სამშენებლო - ტექნიკური ექსპერტიზა]	[5]
[შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია]	[5]
[სამშენებლო ტენდერები, ეთიკა და კონტრაქტები]	[3]
[სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია]	[5]
[ლითონის კონსტრუქციები]	[5]
[რკინაბეტონის კონსტრუქციების შენობა-ნაგებობების დაპროექტება]	[5]
[ხის და პლასტმასის კონსტრუქციები]	[5]
[დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება]	[5]
[წყლის ქიმია და მიკრობიოლოგია]	[5]

[ტუმბოები და სატუმბი სადგურები]	[5]
[დასახლებული პუნქტების წყალარინების სისტემები]	[5]
[ნაგებობების ჰიდრავლიკა]	[5]
[ჰიდროტექნიკური სამუშაოების წარმოება]	[5]
[ჰიდროტექნიკური ნაგებობები]	[5]
[ჰიდროლოგია და ჰიდრომეტრია]	[5]
[შენობა-ნაგებობების კვლევა და გამოცდა]	[5]
[შენობა-ნაგებობების აღდგენა და გაძლიერება]	[5]
[სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება]	[5]
[წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია]	[5]
[ჰიდროელექტროსადგურები]	[5]
[საინჟინრო მელიორაცია]	[5]
[წინასაბაკალავრო პრაქტიკა]	[5]
[საბაკალავრო ნაშრომი]	**[5]**
[კონსტრუქციების დაზიანების დიაგნოსტიკა]	[5]
[მშენებლობის ეკონომიკა]	[5]
[სამშენებლო კომპიუტერული პროგრამები]	[5]
[ჰიდროგეოლოგია]	[5]
[წყლის ეკოლოგია]	[5]
[სპეციალური დანიშნულების შენობების დაპროექტების საფუძვლები]	[5]
[წყლის გზებისა და პორტების ჰიდროტექნიკური ნაგებობები]	[5]
[მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობები]	[5]
[რკინიგზების მშენებლობის ისტორია]	[3]
[მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია]	[3]
[გზების მშენებლობის ისტორია]	[4]
[ხელოვნური ნაგებობების განვითარების ისტორია]	[4]

[დედამიწის ისტორია]	[3]
[მწვანე მშენებლობა]	[4]
სულ	**[240]**